

13.11.2007

### როგორ ავიღოთ ოჯახურ პირობებში ჰამიდვრის თესლი

1. სათესლედ შეარჩიეთ ჯანსაღი და მწიფე (არა გადამწიფებული) ნაყოფები;
2. 10-15 დღე (დამწიფების შესაბამისად) დააწყვეთ სინათლეზე (არა მზეზე);
3. გაჭერით ნაყოფი შუაზე და კოვზით ამოიღეთ რბილობი თესლებით;
4. მიღებული მასალა შეინახეთ თიხის, მინის ან ემალირებულ ჭურჭელში, რომელიც უნდა იდგას ჩრდილში, 18-20 °C ტემპერატურაზე 3-4 დღის განმავლობაში (სანამ თესლი მოშორდება რბილობს), სისტემატურად მოურიეთ;
5. თესლი დაყარეთ (გაშაღეთ) საცერზე და კარგად გარეცხეთ გამდინარე წყლით;
6. უვარგისი თესლის გამორჩევა: 3% მარილხსნარში (30 გრ. მარილი + 1 ლიტრი წყალი) ჩაყარეთ თესლი, რომელიც არ ჩაიძირება (სტერილურია) მოაშორეთ;
7. მარილწყალში დარჩენილი (ჩაძირული) თესლი გარეცხეთ, გაშაღეთ მარლაზე და გააშრეთ ჰაერზე;
8. თესლი შეინახეთ ქაღალდის პარკში, აღნიშნეთ ჯიში და აღების წელი (ჰამიდვრის თესლის შენახვის ვადაა – 4 წელი).